



2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის 2021 წლის ანგარიში

სარჩევი

| | |
|---|-----------|
| შესავალი..... | 3 |
| საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 2021 წელს გამოცხადებული კონკურსი | 4 |
| საპროექტო იდეებისა და წინადადებების შემუშავებისა და შერჩევის პროცესი | 5 |
| საპროექტო იდეის წარდგენისა და შეფასების პროცესი | 6 |
| სრული საპროექტო განაცხადების წარდგენისა და შეფასების პროცესი | 6 |
| პროგრამის განხორციელების ფიზიკური და ფინანსური პროგრესი | 8 |
| შემაჯამებელი მიმოხილვა..... | 8 |
| პრიორიტეტი 1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე..... | 10 |
| ქვე-ღონისძიება 1.2.ა. „აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება “და რეგენერაციის გეგმები..... | 11 |
| პრიორიტეტი 1-ის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური შეთანხმების პოლიტიკის მატრიცის ინდიკატორები და მათი სამიზნეები | 14 |
| პრიორიტეტი 2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 14 |
| პრიორიტეტი 3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა..... | 17 |
| პრიორიტეტი 3-ის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური შეთანხმების პოლიტიკის მატრიცის ინდიკატორები და მათი სამიზნეები | 20 |
| პრიორიტეტი 4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება | 21 |
| პრიორიტეტი 5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება..... | 24 |
| ფინანსური შეთანხმების დელეგირებული თანამშრომლობის ფარგლებში გათვალისწინებული მხარდაჭერა | 25 |
| პროგრამის 2021 წლის განხორციელებისას გამოკვეთილი ხარვეზები და რეკომენდაციები .. | 25 |

ცხრილების ნუსხა

| | |
|---|----|
| ცხრილი 1: ფინანსების განაწილება საპილოტე რეგიონების და პრიორიტეტების მიხედვით | 4 |
| ცხრილი 2: პროექტებისა და ფინანსებიც მოცულობა პრიორიტეტებისა და რეგიონების მიხედვით. | 9 |
| ცხრილი 3: პრიორიტეტი 1-ის ფარგლებში 2021 და 2022 წელს გამოყოფილი თანხა..... | 11 |
| ცხრილი 4: წარმოდგენილი და შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 11 |
| ცხრილი 5: პროექტების და ფინანსებიც მოცულობა პრიორიტეტი 1 -ის შესაბამისად | 12 |
| ცხრილი 6: ღონისძიება 1.1-ის ფარგლებში მყისიერი შედეგების სამიზნეები. | 13 |
| ცხრილი 7: პრიორიტეტი 2-ის ფარგლებში 2021 და 2022 წელს გამოყოფილი თანხა..... | 14 |
| ცხრილი 8: წარმოდგენილი და შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 15 |
| ცხრილი 9: პროექტებისა და ფინანსებიც მოცულობა მე-2 პრიორიტეტის შესაბამისად..... | 16 |
| ცხრილი 10: ღონისძიება 2.1-ის ფარგლებში მყისიერი შედეგების სამიზნეები. | 16 |
| ცხრილი 11: პროგრამის კომპონენტების მიხედვით ბიუჯეტის განაწილება. | 18 |
| ცხრილი 12: ფინანსების რეგიონული განაწილება. | 19 |
| ცხრილი 13: პრიორიტეტი 4-ის ფარგლებში 2021 და 2022 წელს გამოყოფილი თანხა..... | 21 |
| ცხრილი 14: წარმოდგენილი და შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 21 |
| ცხრილი 15: პროექტებისა და ფინანსებიც მოცულობა მე-4 პრიორიტეტის შესაბამისად | 22 |
| ცხრილი 16: ღონისძიება 4.2.-ის და ქვე-ღონისძიება 4.3. ა-ს მყისიერი შედეგების სამიზნეები..... | 23 |

ფიგურების ნუსხა

| | |
|---|----|
| ფიგურა 1: პროექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით..... | 8 |
| ფიგურა 2: ფინანსური რესურსების რეგიონული განაწილება. | 17 |

შესავალი

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერს №628 დადგენილებით. პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს ოთხ რეგიონში - კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი - ინტეგრირებული რეგიონული განვითარების ღონისძიებების განხორციელებას, რომლის მთლიანი ღირებულება 3 წლის განმავლობაში 63.75¹ მილიონი ევროა და მიზნად ისახავს აღნიშნულ რეგიონებში კონკურენტუნარიანობის ზრდას და თბილისსა და ბათუმთან შედარებით არსებული სოციო-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული უთანაბრობების შემცირებას.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მთავარი მიზანია საპილოტე რეგიონში ხელსაყრელი გარემოს შექმნა დაბალანსებული მდგრადი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისთვის, ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ინიციატივების საშუალებით.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამას აქვს მკაფიო საპილოტე და სადემონსტრაციო როლი, რაც საშუალებას აძლევს საქართველოს განახორციელოს რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული არიან ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და დაინტერესებულ მხარეთა სხვა ჯგუფები.

პროგრამა შემუშავებულია ევროკავშირთან თანამშრომლობით. 2020 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ფინანსური შეთანხმების შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად ევროკავშირი 54 მლნ. ევროს გამოყოფს, საქართველოში თანამედროვე ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის შესაბამისი რეგიონული განვითარების პოლიტიკის მხარდასაჭერად.

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მთავარი სტრატეგიული მიზანი მიღწეული იქნება მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც პასუხობენ რეგიონებში გამოვლენილ საჭიროებებსა და პოტენციალს. აღნიშნული ღონისძიებები კონცენტრირებულია ხუთ შეთავაზებულ პრიორიტეტულ მიმართულებაზე:

1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე;
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა;
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება;
5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება.

¹ აღნიშნული თანხა არ მოიცავს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიმღებების მხრიდან პროექტების თანადაფინანსებას, ამასთან ევროკავშირის დელეგირებული თანამშრომლობის ფარგლებში გათვალისწინებული 8.5 მილიონი ევრო ათვისებული იქნება UNDP-სა და GIZ-ი მიერ 5 წლის განმავლობაში.

პროექტების შესარჩევად საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით დამტკიცდა „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესი“, რომელიც აწესრიგებს პროგრამის ფარგლებში პროექტების შემუშავების, წარდგენის, შეფასების შერჩევის და დაფინანსების წესს, აგრეთვე განსაზღვრას მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობასა და ვალდებულებებს.

წარმოდგენილი ანგარიში შემუშავებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ და მოიცავს 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 2021 წელს გამოცხადებული კონკურსი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად, კონკურსის გამოცხადების საფუძველს წარმოადგენს წლიური სამოქმედო გეგმა, რომელსაც შეიმუშავებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მოსაწონებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით შექმნილი საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიას.

მოწონებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად 2021 წელს გათვალისწინებული იყო ორი კონკურსის გამოცხადება, რისთვისაც საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 ივნისის N920 განკარგულებით, რომელშიც 2021 წლის 27 დეკემბერს შევიდა ცვლილება N2379 და ჯამში გამოიყო 2021 წელს 30 მილიონი, ხოლო 2022 წელს 170 მილიონი ლარი. გეგმის თანახმად, გამოყოფილი თანხა ფორმულის შესაბამისად გადანაწილდა საპილოტე რეგიონებზე ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

ცხრილი 1: ფინანსების განაწილება საპილოტე რეგიონების და პრიორიტეტების მიხედვით

| პრიორიტეტი | საპილოტე რეგიონი | თანხის ოდენობა 2021 წელი (ლარი) | თანხის ოდენობა 2022 წელი (ლარი) |
|---|-------------------------------|---------------------------------|---------------------------------|
| 1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე | იმერეთი | 5 111 299,35 ლ | 28 921 828,55 ლ |
| | კახეთი | - | 27 710 245,59 ლ |
| | გურია | - | 10 911 443,89 ლ |
| | რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 1 037 691,70 ლ | 4 079 721,04 ლ |
| | ჯამი | 6 148 991,05 ლ | 71 623 239,07 ლ |
| 2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | იმერეთი | 2 120 955,40 ლ | 8 465 386,23 ლ |
| | კახეთი | 1 302 676,88 ლ | 7 316 869,57 ლ |
| | გურია | 1 046 759,76 ლ | 2 347 352,97 ლ |
| | რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 676 402,81 ლ | 915 419,13 ლ |
| | ჯამი | 5 146 794,85 ლ | 19 045 027,90 ლ |
| 3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის | იმერეთი | 1 343 381,24 ლ | 15 998 706,76 ლ |
| | კახეთი | 1 093 799,67 ლ | 13 026 369,33 ლ |
| | გურია | 430 704,73 ლ | 5 129 384,27 ლ |

| | | | |
|--|-------------------------------|------------------------|------------------------|
| ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა | რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 201 998,37 ლ | 2 405 655,63 ლ |
| | ჯამი | 3 069 884,00 ლ | 36 560 116,00 ლ |
| 4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება | იმერეთი | 7 097 255,98 ლ | 17 941 345,47 ლ |
| | კახეთი | 4 923 606,59 ლ | 15 463 170,60 ლ |
| | გურია | 1 821 144,04 ლ | 6 206 542,85 ლ |
| | რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 1 792 323,48 ლ | 3 160 558,12 ლ |
| | ჯამი | 15 634 330,10 ლ | 42 771 617,03 ლ |
| ჯამი | 200 000 000 ლ | | |

საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით გამოყოფილი თანხა მიემართა პროგრამის:

- „პრიორიტეტი 1 - ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე“-ის - ქვე-ღონისძიება 1.1.ა-რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია; ქვე-ღონისძიება; 1.1ბ. რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარება; ქვე-ღონისძიება 1.2.ა. - აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება,
- „მე-2 პრიორიტეტის უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“- ქვე-ღონისძიება 2.1.ა. ტურისტებისთვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება; ქვე-ღონისძიება 2.1ბ. ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და
- „მე-4 პრიორიტეტის - ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება“-ღონისძიება 4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა და ქვე-ღონისძიება 4.3. ა. სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების კონკურსი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოამზადა საკონკურსო პირობები. საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სამოქმედო გეგმის შესაბამისად, კონკურსის გამოცხადების შესახებ 2021 წლის 22 მაისიდან.

საპროექტო იდეებისა და წინადადებების შემუშავებისა და შერჩევის პროცესი

ვინაიდან პროგრამის განხორციელების დაწყებას თან დაემთხვა COVID-2019 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები, საპროექტო განაცხადების კონკურსი გამოცხადება გადაწყდა და 2021 წლის 22 მაისიდან მუნიციპალიტეტებს მიეცათ საპროექტო წინადადებების წარდგენის შესაძლებლობა. საპროექტო წინადადებების შემუშავებაში მთელი პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტებს ეხმარებოდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ექსპერტები.

საპროექტო იდეის წარდგენისა და შეფასების პროცესი

გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პრიორიტეტი 1, 2 და 4-ის ფარგლებში ოთხი საპილოტე რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ წარდგენილ იქნა 157 საპროექტო იდეის განაცხადი:

1. კახეთი - 46
2. იმერეთი - 92
3. გურია - 6
4. რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 13

საპროექტო იდეის განაცხადების შეფასების დროს დადგენილი ხარვეზების გონივრული ვადაში გამოსასწორებლად მუნიციპალიტეტებს დაუბრუნდათ 13 საპროექტო განაცხადი, ხოლო ჯამში ადმინისტრაციული შემოწმება ვერ გაიარა 4-მა პროექტმა.

შეფასების შემდეგ ეტაპზე საპროექტო იდეები დაექვემდებარნენ ტექნიკურ შეფასებას საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად. თითოეული პროექტის მიენიჭა შესაბამისი ქულა. შემდეგ ეტაპზე გადავიდნენ მხოლოდ ის პროექტები, რომელთაც მიიღეს მაქსიმალური ქულის არანაკლებ 70%.

ექსპერტების შეფასების შედეგად შემდგომ ეტაპზე სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებს შესარჩევად წარედგინათ ჯამში 141 პროექტი:

1. კახეთი - 45
2. იმერეთი - 77
3. გურია - 6
4. რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 13

წარდგენილი საპროექტო იდეებიდან შესაბამისი რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებმა შეარჩიეს ჯამში 138 საპროექტო იდეა.

სრული საპროექტო განაცხადების წარდგენისა და შეფასების პროცესი

მე-2 ეტაპზე გადასული 138 საპროექტო იდეიდან მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში წარდგენილ იქნა 72 სრული საპროექტო განაცხადი:

5. კახეთი - 13
6. იმერეთი - 44
7. გურია - 6
8. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი - 9

საპროექტო წინადადებების შეფასების დროს 1 პროექტი დახარვეზდა, თუმცა მუნიციპალიტეტის მიერ გონივრული ვადის ფარგლებში მოხდა ხარვეზის აღმოფხვრა და

საპროექტო წინადადება დაბრუნდა შეფასების პროცესში. ყველა საპროექტო წინადადებამ გაიარა ადმინისტრაციული შეფასების პროცედურა.

შეფასების შემდეგ ეტაპზე საპროექტო წინადადებები დაექვემდებარნენ ტექნიკურ შეფასებას საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად. თითოეულ პროექტს მიენიჭა შესაბამისი ქულა. შემდეგ ეტაპზე გადავიდნენ მხოლოდ ის პროექტები, რომელთაც მიიღეს მაქსიმალური ქულის არანაკლებ 70%. №200 დადგენილებით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად, ტექნიკური შეფასება გაიარა 70-მა საპროექტო წინადადებამ. ორმა პროექტმა ვერ გაიარა წარმატებით ტექნიკური შეფასების პროცედურა და გამოეთიშა კონკურსს.

ექსპერტების შეფასების შედეგად შემდგომ ეტაპზე სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებს შესარჩევად წარედგინათ ჯამში 70 პროექტი:

5. კახეთი - 12
6. იმერეთი -43
7. გურია - 6
8. რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 9.

წარდგენილი სრული საპროექტო განაცხადებიდან შესაბამისი რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებმა შეარჩიეს ჯამში 70 პროექტი.

საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის (შემდგომში-სამთავრობო კომისია) მიერ 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მე-3 პრიორიტეტის „მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა“ ფარგლებში 2021 წლის 2 აგვისტოს გამოცხადდა მოწვევა სახელმწიფო სააგენტოების საკონკურსო განაცხადის შერჩევაში მონაწილეობაზე. აღნიშნულ მოწვევაში მონაწილეობა მიიღო და პროგრამული განაცხადები წარმოადგინა სამმა სახელმწიფო სააგენტომ: სსიპ „აწარმოე საქართველოში“, ააიპ სოფლის განვითარების სააგენტო; სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. სააგენტოების მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი პროგრამული განაცხადები დაწუნებულ იქნა სამთავრობო კომისიის მიერ სამუშაო ჯგუფის ანგარიშის საფუძველზე. სააგენტოების მიერ გადამუშავებული პროგრამების მოწონებული იქნა სამთავრობო კომისიის მიერ 2021 წლის 22-23 სექტემბრის მე-8 სხდომაზე.

პროგრამის განხორციელების ფიზიკური და ფინანსური პროგრესი შემაჯამებელი მიმოხილვა

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამისთვის 2020-2021 და 2022 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისად გამოიყო 5², 30³ და 170⁴ მილიონი ლარი. პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის მიერ მოწონებული იქნა პროგრამის განხორციელების 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) სრიგპ-ით გათვალისწინებული პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისათვის ყოველწლიურად განსაკარგი ჯამური თანხის შესახებ; ბ) სრიგპ-ით გათვალისწინებული პროგრამის თითოეული პრიორიტეტისთვის/ლონისძიებისთვის ან/და ქვე-ლონისძიებისთვის განსაკარგი თანხის შესახებ, შესაბამისი რეგიონისთვის; გ) სრიგპ-ის ფარგლებში კონკურს(ებ)ის გამოცხადების განრიგის შესახებ; დ) სრიგპ-ის განხორციელების კოორდინაციისა და მონიტორინგის აქტივობების შესახებ; ე) მომდევნო საბიუჯეტო წლის საპროგნოზო მონაცემების ფარგლებში, ამ უკანასკნელისა და მიმდინარე საბიუჯეტო წლის ჯამური განსაკარგი თანხების ფარგლებში, გათვალისწინებული ინფორმაცია.

პროგრამის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა მომზადდა 2020 წლის მონიტორინგის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების საფუძველზე და კონკურსანტებს მიეცათ სამართლებრივი შესაძლებლობა მრავალწლიანი პროექტების წარმოდგენის. ახალმა მიდგომამ შესაძლებლობა მოგვცა შესაბამისი რეგიონების პრიორიტეტებზე წლების მიხედვით გამოყოფილი თანხების კონსოლიდაცია, რომლის საფუძველზეც დაფინანსდა დიდი მოცულობის მნიშვნელოვანი პროექტები. აღნიშნული მიდგომის გამოყენება განსაკუთრებულად საჭირო იყო გურიისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისთვის მათთვის ღონისძიებებზე გადანაწილებული მცირეოდენი თანხის მოცულობიდან გამომდინარე. ამასთან, აღსანიშნავია რომ ახალმა მიდგომამ გააუმჯობესა სრიგპ-ის პრიორიტეტებზე განსახორციელებლად გამოყოფილი თანხების ათვისების მაჩვენებლები.

2021 წელს პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 64 პროექტთან დაკავშირებით, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 56 993 287 ლარს. აღნიშნული პროექტების დაფინანსებისთვის 2021 წელს ბიუჯეტიდან გამოიყო 25,895,370 ლარი, ხოლო 2022 წელს 29,945,061 ლარი. მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებამ შეადგინა 1,152,855 ლარი დასაფინანსებელი პროექტების ღირებულების დაახლოებით 2%-ი.


ფიგურა 1: პროექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით.

² საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 ივნისის N1007 განკარგულება;

³ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი;

⁴ 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი

პროექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამის განხორციელების მიზნით 2021 წელს გამოეყო 2 939 884 ლარი, ხოლო 2022 წელს 17 060 116 ლარი, სსიპ-ს აწარმოე საქართველოში პროგრამის განხორციელების მიზნით 2022 წელს 16 200 000 ლარი და სსიპ-ს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამის განხორციელების მიზნით 2021 წელს 130 000 ლარი, ხოლო 2022 წელს - 3 300 000 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2020-2021 წლებში საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში საპილოტე რეგიონების განვითარების სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილება მიღებულია ჯამში 99.198 მილიონი ლარის ღირებულების პროექტებსა და პროგრამებზე, რაც მთლიანად სრიგპ-ის განსახორციელებლად გამოყოფილი ფინანსური რესურსების⁵ (205 მლნ. ლარი) 48% შეადგენს.

ცხრილი 2: პროექტებისა და ფინანსების მოცულობა პრიორიტეტებისა და რეგიონების მიხედვით.

| პრიორიტეტი | რეგიონი | პროექტების რაოდენობა | დაფინანსება | შესრულების მაჩვენებელი |
|---|-------------------------------|----------------------|----------------------|------------------------|
| 1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე | იმერეთი | 10 | 9,387,957.03 | 28% |
| | კახეთი | 2 | 3,397,541.00 | 12% |
| | გურია | 1 | 1,443,364.00 | 13% |
| | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 1 | 4,224,034.73 | 83% |
| | ჯამი | 14 | 18,452,896.76 | 24% |
| 2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | იმერეთი | 8 | 6,219,671.76 | 59% |
| | კახეთი | 3 | 1,322,676.88 | 15% |
| | გურია | 2 | 2,696,563.76 | 79% |
| | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 3 | 1,039,043.81 | 65% |

⁵ სრიგპ-ის ბიუჯეტი შეადგენს 50.5 მილიონ ევროს, რაც 2022-01-12 ეროვნული ბანკის კურსით 176.75 მლნ, ლარია (კურსი 3,5002)

| | | | | |
|---|-------------------------------|----------------------|----------------------|-------------|
| | ჯამი | 16 | 11,277,956.21 | 47% |
| 3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა | იმერეთი | | 17,342,088.00 | 100% |
| | კახეთი | | 14,120,169.00 | 100% |
| | გურია | | 5,560,089.00 | 100% |
| | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | | 2,607,654.00 | 100% |
| | ჯამი | | 39,630,000.00 | 100% |
| 4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება | იმერეთი | 23 | 17,563,195.37 | 65% |
| | კახეთი | 5 | 6,606,020.02 | 30% |
| | გურია | 3 | 3,575,446.42 | 41% |
| | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 3 | 2,092,715.48 | 40% |
| | ჯამი | 34 | 29,837,377.29 | 47% |
| ჯამი | 64 | 99,198,230.26 | 48% | |

გარდა ამისა თითოეული რეგიონისა და პრიორიტეტების მიხედვით თანხების ათვისების მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია იმის გათვალისწინებით რომ სრიგპ-ის განხორციელების პირველ 2020 წელს გამოცხადდა მხოლოდ ერთი საპილოტე კონკურსი. ეს შეიძლება იმით აიხსნას რომ პროგრამის განხორციელების პირველ წელს მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება პროგრამის განხორციელების სისტემაში. ერთადერთი პრიორიტეტი რომელიც ათვისების მაჩვენებლით ჩამოუვარდება სხვებს, არის პირველი პრიორიტეტი. აღნიშნულის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს მიმდინარე covid-19 პანდემია, რის გამოც, გართულდა რეგენერაციის გეგმების შემუშავების სამუშაოების განხორციელება. ამ გეგმების არსებობა წარმოადგენს, *პრიორიტეტი 1 ღონისძიება 1.2-ის* ფარგლებში დაფინანსების მიღების ერთ-ერთ წინაპირობას. აქვე აღსანიშნავია, რომ თავისი ზეგავლენა მოახდინა საკანონმდებლო თავისებურებებმა, რომელიც უკავშირდება წინასაარჩევნო კამპანიისას დაწესებულ გარკვეულ საკანონმდებლო შეზღუდვებს.

პრიორიტეტი 1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე

საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით სრიგპ-ის პრიორიტეტი 1. „ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე“-ის ფარგლებში კონკურსი გამოცხადდა 2021 წლის 7 ივნისს ქვე-ღონისძიება 1.1. ა. „რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია“ და ქვე-ღონისძიება 1.1 ბ. „რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარება“, აგრეთვე ქვე-ღონისძიება 1.2.ა. – „აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება“-ის მიხედვით. კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა გააჩნია ოთხივე საპილოტე რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს. კონკურსის

ფარგლებში გაცემულმა თანხამ შეადგინა 2021 წელს 6 148 991 ლარი, ხოლო 2022 წელს – 71 623 239 ლარი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებით რეგიონების მიხედვით გადანაწილდა ცხრილი 3-ის მიხედვით.

ცხრილი 3: პრიორიტეტი 1-ის ფარგლებში 2021 და 2022 წელს გამოყოფილი თანხა.

| პრიორიტეტი | საპილოტე რეგიონი | თანხის ოდენობა 2021 წელი (ლარი) | თანხის ოდენობა 2022 წელი (ლარი) |
|---|-------------------------------|---------------------------------|---------------------------------|
| 1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე | იმერეთი | 5 111 299,35 ლ | 28 921 828,55 ლ |
| | კახეთი | - | 27 710 245,59 ლ |
| | გურია | - | 10 911 443,89 ლ |
| | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 1 037 691,70 ლ | 4 079 721,04 ლ |
| | ჯამი | 6 148 991,05 ლ | 71 623 239,07 ლ |

ჯამში ოთხი საპილოტე რეგიონის მიერ ღონისძიება 1.1. ა და 1.1. ბ-ს ფარგლებში წარმოდგენილ იქნა 43 საპროექტო იდეა, საიდანაც მხოლოდ იმერეთის რეგიონმა წარმოდგინა საპროექტო იდეები ქვე-ღონისძიება 1.1 ა-ს ფარგლებში. ადმინისტრაციული შეფასება ვერ გაიარა იმერეთის რეგიონის 9 საპროექტო იდეამ (მათ შორის ხარვეზების გამოსასწორებლად დაბრუნებული საპროექტო იდეები). შემდგომ ეტაპზე საკონსულტაციო საბჭოში პრიორიტეტი 1-ს ფარგლებში შევიდა სულ 15 საპროექტო წინადადება, რომელთაც წარმატებით გაიარეს ადმინისტრაციული და ტექნიკური შეფასება - 15-ვე პროექტი იქნა შერჩეული. 2021 წლის ბოლოსთვის საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ დაფინანსებულ იქნა 14 საპროექტო განაცხადი.

ქვე-ღონისძიება 1.2.ა. „აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება“ და რეგენერაციის გეგმები

უნდა აღინიშნოს რომ 2021 წელს სრიგპ-ის ქვე-ღონისძიება 1.2. ა. „აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში პროექტები არ განხორციელებულა, რადგან ამ ქვე-ღონისძიების ფარგლებში პროექტების წარმოდგენამდე მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონოდა შემუშავებული შესაბამისი რეგენერაციის გეგმა. აღნიშნული გეგმების შესამუშავებლად საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიამ 24/05/2021 N3 სხდომაზე მოიწონა „რეგენერაციის გეგმის შედგენის სახელმძღვანელო“. აღნიშნული სახელმძღვანელოს მიხედვით ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის ექსპერტების მხარდაჭერით დაიწყო რეგენერაციის გეგმების მომზადება. აღნიშნული გეგმები სამთავრობო კომისიას მიეწოდა 2022 წლის იანვარში და მოწონებული იქნა მე-11 სხდომაზე. შესაბამისად აღნიშნული გადაწყვეტილების ფარგლებში, სამტრედიის, ტყიბულის და ქუთაისის მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობა ექნებათ 2022 წელს მიიღონ დაფინანსება ქვე-ღონისძიება 1.2 ა ფარგლებში.

ცხრილი 4: წარმოდგენილი და შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა.

| კონკურსში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები | კახეთი | იმერეთი | | გურია | რაჭა | | ჯამი |
|--|--------|---------|--------|-------|------|--------|------|
| | 1.1. ბ | 1.1. ა | 1.1. ბ | 1.1. | 1.1. | 1.1. ბ | |
| წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 15 |
| ადმინისტრაციული შესაბამისობის შეფასების დონეზე დაწუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხელმეორედ წარსადგენად დაბრუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ტექნიკური შეფასებისთვის ვალიდური საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 15 |
| ტექნიკური შეფასების დონეზე დაწუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებისთვის საბოლოო შერჩევის მიზნით გადაგზავნილი საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 15 |
| სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 15 |
| სახელმწიფო კომისიის მიერ მოწონებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 2 | 7 | 3 | 1 | 0 | 1 | 14 |

პრიორიტეტი 1-ის ქვე-ლონისძიება 1.1. ა. „რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია“, ქვე-ლონისძიება 1.1 ბ. „რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარება“ და ქვე-ლონისძიება 1.2. ა. „აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება“-ის ფარგლებში სრიგპ-ით გათვალისწინებულია 19 მილიონი ევროს (დაახლოებით 66.5 მილიონი ლარი) ღირებულების პროექტების დაფინანსება, შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ პროგრამის ფარგლებში პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა 17%-ით აღემატება სრიგპ-ის ბიუჯეტით პრიორიტეტი 1-თვის გათვალისწინებულ თანხას.

ცხრილი 5: პროექტების და ფინანსების მოცულობა პრიორიტეტი 1-ის შესაბამისად

| პრიორიტეტი | რეგიონი | პროექტების რაოდენობა 2021 | კონკურსით გათვალისწინებული თანხა 2021 | შესრულების მაჩვენებელი 2021 |
|---|----------------------------|---------------------------|---------------------------------------|-----------------------------|
| 1. ურბანული განახლება - ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე | იმერეთი | 10 | 2 625 600,00 ლ | 195% |
| | კახეთი | 2 | 2 137 800,00 ლ | 0% |
| | გურია | 1 | 841 800,00 ლ | 0% |
| | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 1 | 394 800,00 ლ | 263% |
| | ჯამი | 14 | 6 000 000 | 102% |

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის 2021 წელს პრიორიტეტი 1-თვის დაგეგმილი ასათვისებელი თანხის 263%-ია 2021 წელს ათვისებული.

კონკურსის ფარგლებში 2021 წელს გამოყოფილი 6 მილიონი ლარიდან ათვისებულ იქნა ჯამში 6 148 991,05 ლარი (მათ შორის 2022 წლის ბიუჯეტიდან) რაც 2% აღემატება 2021 წელს დაგეგმილ ასათვისებელ თანხას.

ჯამში 2021 წელს ღონისძიება 1.1-ის ფარგლებში დაფინანსდა 14 პროექტი, რომლისთვისაც პროგრამის ფარგლებში 2021 წლის ბიუჯეტიდან გამოიყო 6 148 991 ხოლო 2022 წელს გამოიყოფა 12 303 905 ლარი.

ცხრილი 6: ღონისძიება 1.1-ის ფარგლებში მყისიერი შედეგების სამიზნეები.

| ქვე-ღონისძიება | სრიგპ-ს მყისიერი ინდიკატორები | სამიზნე მაჩვენებელი 2020-2022 | შედეგი 2021 | შესრულების % | |
|--|--|-------------------------------|-------------|--------------|-----|
| 1.1. ა. რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია | აშენებული / მოდერნიზებული სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა, რომლებიც ცენტრალურ ფუნქციებს მოემსახურება: | თეატრები | 1 | | |
| | | საკონცერტო დარბაზები | 0 | | |
| | | სხვა | 5 | | |
| | | სულ | 4 | 6 | 150 |
| | მოდერნიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებები: | სკოლები | 0 | 0 | |
| | | უნივერსიტეტები | 0 | 0 | |
| | | სულ | 2 | 0 | 0 |
| | შექმნილი მრავალფუნქციური აქტივობის ცენტრები | 2 | 0 | 0 | |

როგორც ზემოთ ცხრილ 6-შია ნაჩვენები სრიგპ-ის ინდიკატორი ქვე-ღონისძიება 1.1.ა. რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაციის ინდიკატორი „აშენებული/მოდერნიზებული სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა, რომლებიც ცენტრალურ ფუნქციებს მოემსახურება“ 150% გადაჭარბებით არის შესრულებული. თუმცა ქვე-ღონისძიების დანარჩენი 2 ინდიკატორის შესრულება 0%. დისბალანსი სრიგპ-ის ინდიკატორების სამიზნეების მიღწევის ნაწილში გამოწვეულია სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ პროექტების შემუშავების და შერჩევის დეცენტრალიზებული მიდგომითა იწვევს სრიგპ-ის ინდიკატორების სამიზნეების მიღწევის ნაწილში ასეთ დისბალანსს, როცა აქცენტი კეთდება საჭიროებაზე და არა კონკრეტულ ინდიკატორზე.

პრიორიტეტი 1-ს ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური შეთანხმების პოლიტიკის მატრიცის ინდიკატორები და მათი სამიზნეები

ინდიკატორი 2.1.1-თან დაკავშირებით, რომელიც ევროკავშირის შემფასებელი მისიის ექსპერტების მიერ უნდა შემოწმდეს 2022 წელს გამოსაყოფი ტრანშის ფარგლებში, გულისხმობს 2020-2022 წლებში 8.25 მილიონი ევრო ღირებულების კონტრაქტების გაფორმებას და ფინანსური რესურსების გამოყოფას. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრიგპ-ის ღონისძიება 1.1-ის ფარგლებში დაფინანსებულია ან/და განხორციელებულია ან/და ხორციელდება 5.27 მილიონი ევროს (18.45 მილიონ ლარი) ღირებულების პროექტები და 2022 წელს ოთხი საპილოტე რეგიონის მუნიციპალიტეტის პროექტების დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2379 განკარგულებით გამოყოფილია 71.772 მილიონი ლარი - 20.5 მლნ ევრო (საიდანაც ასათვისებელია 59.3 მლნ. ლარი - დაახლ. 16.9 მლნ. ევრო)⁶. ჯამში სრიგპ-ის პრიორიტეტი 1-ს ფარგლებში დაფინანსდება დაახლოებით 22,2 მილიონი ევროს ღირებულების პროექტები, რაც ფინანსური შეთანხმების პოლიტიკის მატრიცის ინდიკატორი 2.1.1-ით გათვალისწინებულ 8.25 მილიონ ევროს 266%-ით აღემატება. აღნიშნული ინვესტიცია უზრუნველყოფს რეგიონული ცენტრების როგორც საპილოტე რეგიონების მიზიდულობის ცენტრების ჩამოყალიბების და მათი კონკურენტუნარიანობის განვითარების მხარდაჭერას.

პრიორიტეტი 2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით სრიგპ-ის პრიორიტეტი 2-ს - “უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“- ფარგლებში კონკურსი გამოცხადდა 2021 წლის 7 ივნისს ქვე-ღონისძიება 2.1. ა. „ტურისტებისთვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება“ და ქვე-ღონისძიება 2.1 ბ. „ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა“ მიხედვით. კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა გააჩნია ოთხივე საპილოტე რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს. კონკურსის ფარგლებში გაცემული თანხის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 2021 წ. - 5 146 794 ლარი ხოლო 2022 წ. - 19 045 027 ლარი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებით რეგიონების მიხედვით გადანაწილდა ცხრილი 7-ს მიხედვით.

ცხრილი 7: პრიორიტეტი 2-ის ფარგლებში 2021 და 2022 წელს გამოყოფილი თანხა.

| პრიორიტეტი | საპილოტე რეგიონი | თანხის ოდენობა 2021 წელი (ლარი) | თანხის ოდენობა 2022 წელი (ლარი) |
|------------|------------------|---------------------------------|---------------------------------|
| | იმერეთი | 2 120 955,40 ლ | 8 465 386,23 ლ |

⁶ აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში 2022 წელს განსხვავებით 2021 წლისგან პროექტები დაფინანსდება სრიგპ-ის ქვე-ღონისძიება 1.2.ა. - აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებშიც.

| | | | |
|--|-------------------------------|-----------------------|------------------------|
| 2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | კახეთი | 1 302 676,88 ლ | 7 316 869,57 ლ |
| | გურია | 1 046 759,76 ლ | 2 347 352,97 ლ |
| | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 676 402,81 ლ | 915 419,13 ლ |
| | ჯამი | 5 146 794,85 ლ | 19 045 027,90 ლ |

ჯამში ოთხი საპილოტე რეგიონის მიერ პრიორიტეტი ორის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა 32 საპროექტო იდეა, საიდანაც მხოლოდ კახეთის რეგიონმა წარმოადგინა ერთი საპროექტო იდეა ქვე-ლონისძიება 2.1 ბ-ს ფარგლებში. ადმინისტრაციული შეფასება ვერ გაიარა იმერეთის რეგიონის 2-მა საპროექტო იდეამ. ტექნიკური შეფასების ეტაპზე დაწუნებულ იქნა იმერეთის 8 საპროექტო იდეა. ჯამში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოზე პრიორიტეტი ორის ფარგლებში განსახილველად წარდგენილ იქნა 19 საპროექტო წინადადება. ადმინისტრაციული შეფასება გაიარა ყველა პროექტმა, ტექნიკური შეფასება კი ვერ გაიარა 1-მა. ჯამში 2021 წელს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ, პრიორიტეტი 2-ს ფარგლებში 18 პროექტი იქნა შერჩეული. 2021 წლის ბოლოსთვის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ წარდგენილ იქნა 16 პროექტი და საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ მოწონებულ იქნა 16-ვე პროექტი.

ცხრილი 8: წარმოდგენილი და შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა.

| კონკურსში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები | კახეთი | | იმერეთი | გურია | რაჭა | ჯამი |
|--|--------|--------|---------|-------|--------|------|
| | 2.1. ა | 2.1. ბ | 2.1. ა | 2.1. | 2.1. ა | |
| წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 2 | 1 | 11 | 2 | 3 | 19 |
| ადმინისტრაციული შესაბამისობის შეფასების დონეზე დაწუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხელმეორედ წარსადგენად დაბრუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ტექნიკური შეფასებისთვის ვალიდური საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 2 | 1 | 11 | 2 | 3 | 19 |
| ტექნიკური შეფასების დონეზე დაწუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |
| სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებისთვის საბოლოო შერჩევის მიზნით გადაგზავნილი საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 2 | 1 | 10 | 2 | 3 | 18 |
| სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 2 | 1 | 10 | 2 | 3 | 18 |
| სახელმწიფო კომისიის მიერ მოწონებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 2 | 1 | 8 | 2 | 3 | 16 |

პრიორიტეტი 2-ის ქვე-ლონისძიება 2.1. ა. „ტურისტებისთვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება“ და ქვე-ლონისძიება 2.1 ბ. „ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა“ ფარგლებში სრიგპ-ით გათვალისწინებულია 6 მილიონი ევროს (დაახლოებით 21 მილიონი ლარი) ღირებულების პროექტების დაფინანსება, შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ პროგრამის

ფარგლებში პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა 9%-ით აღემატება სრიგპ-ის ბიუჯეტით ღონისძიება 2.1-თვის გათვალისწინებულ თანხას.

ცხრილი 9: პროექტებისა და ფინანსების მოცულობა მე-2 პრიორიტეტის შესაბამისად

| პრიორიტეტი | რეგიონი | პროექტების რაოდენობა 2021 | კონკურსით გათვალისწინებული თანხა 2021 | შესრულების მაჩვენებელი 2021 |
|---|---------------------------|---------------------------|---------------------------------------|-----------------------------|
| 2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | იმერეთი | 8 | 4,813,600 | 44% |
| | კახეთი | 3 | 3,919,300.00 | 33% |
| | გურია | 2 | 1,543,300.00 | 68% |
| | რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი | 3 | 723,800.00 | 93% |
| | ჯამი | 16 | 11,000,000.00 | 47% |

კონკურსის ფარგლებში 2021 წელს გამოყოფილი 11 მილიონი ლარიდან ათვისებულ იქნა ჯამში 5,146,792.00 ლარი რაც 2021 წელს გამოყოფილ თანხის 47% შეადგენს. ათვისების ასეთი დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია გაჭიანურებული სატენდერო პროცედურებით.

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებაზე გადაწყვეტილება 16 პროექტზე იქნა მიღებული და შეადგინა 11.277 მილიონი ლარი. აღნიშნული თანხა კონკურსის ფარგლებში 2021 წელს გათვალისწინებულ თანხის 102.5% შეადგენს.

ცხრილი 10: ღონისძიება 2.1-ს ფარგლებში მყისიერი შედეგების სამიზნეები.

| ქვე-ღონისძიება | მყისიერი შედეგების ინდიკატორი | სამიზნე მაჩვენებელი 2020-2022 | შედეგი 2021 | შესრულების % |
|--|---|-------------------------------|-------------|--------------|
| 2.1 ა- ტურისტებისთვის ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება | მცირე ზომის მხარდაჭერილი თანმხლები ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა | 16 | 20 | 125 |
| | მოწყობილი ადგილობრივი პროდუქტებისა და ხელნაკეთების გასაყიდი ადგილების რაოდენობა | 8 | 7 | 87.5 |
| 2.1 ბ – კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა | განახლებული კულტურული ძეგლების / ტერიტორიების რაოდენობა | 8 | 1 | 12.5 |

როგორც ზევით ცხრილშია აღნიშნული ღონისძიება 2.1 ა-ს ფარგლებში არსებული სამიზნე მაჩვენებლები ამჟამად უკვე თითქმის მიღწეულია მათ შორის ინდიკატორი "მცირე ზომის მხარდაჭერილი თანმხლები ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა" სამიზნე მაჩვენებელი 25% გადაჭარბებითაა შესრულებული. თუმცა ქვე-ღონისძიება 2.1 ბ-ს ინდიკატორის სამიზნის შესრულება ჩამორჩება მნიშვნელოვნად, გამომდინარე იქიდან, რომ ქვე-ღონისძიება 2.1 ბ-ს ფარგლებში 2021 წელს დაფინანსდა მხოლოდ 1 პროექტი. სწორედ სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ პროექტების შემუშავების და შერჩევის

დეცენტრალიზებული მიდგომა იწვევს სრიგპ-ის ინდიკატორების სამიზნეების მიღწევის ნაწილში ასეთ დისბალანსს.

პრიორიტეტი 3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა

2021 წლის 4 ივნისს საქართველოს მთავრობის №920 განკარგულებით 40.8 მილიონი ლარი გამოიყო სრიგპ-ის პრიორიტეტი 3 - „კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციების მხარდაჭერა“ განსახორციელებლად. საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიამ 2021 წლის 2 აგვისტოს გამოაცხადა მოწვევა სახელმწიფო სააგენტოების საკონკურსო განაცხადის შერჩევაში მონაწილეობაზე. პროგრამული წინადადებების კონკურსის ფარგლებში სამმა სახელმწიფო უწყებამ (სსიპ სოფლის განვითარების სააგენტო, სსიპ „წარმოე საქართველოში“ და სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ) წარადგინა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის პროგრამები. საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის სამუშაო ჯგუფმა შეაფასა ეს პროგრამები და სამთავრობო კომისიამ დაუბრუნა სააგენტოებს საკონკურსო წინადადებების პირობების არასრული შესრულების გამო. შესაბამისი კორექტირებისა და ადაპტაციის შემდეგ, სამთავრობო კომისიის მიერ პროგრამები მოწონებული იქნა 2021 წლის სექტემბერში და სააგენტოებმა საქართველოს მთავრობის N2379 განკარგულების თანახმად მიიღეს 39,63 მილიონი ლარი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერისთვის 2021 და 2022 წლებში რაც სრიგპ-ის ფარგლებში პრიორიტეტი 3-ისთვის გამოყოფილი თანხის 10.5 მლნ. ევროს (36.9 მლნ ლარი) 107%.


სააგენტოების პროგრამები ითვალისწინებს საპილოტე რეგიონებში ახალი საწარმოების შექმნის და არსებული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაცია-გაფართოებას დაფინანსებას, კერძოდ:

ქვე-ღონისძიება 3.1. ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობის მიმართულებით:

- მანქანები-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა;
- შენობა/ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მხარდაჭერა;
- პროექტის (წარმოებისა და შენახვის საშუალებები) ფარგლებში შემენილი დანადგარებისა და აღჭურვილობის დამონტაჟებასთან დაკავშირებული სამუშაოების მხარდაჭერა;

აღნიშნულ ღონისძიებებს განახორციელებს ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო პროექტებისთვის გათვალისწინებული ჯამური ფინანსური მოცულობით 20 მილიონი ლარი.

ფიგურა 2: ფინანსური რესურსების რეგიონული განაწილება.



სააგენტოს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირების (რომლებიც ოპერირებენ და რეგისტრირებულნი არიან საპილოტე რეგიონ(ებ)ში) მიერ მოთხოვნილი მაქსიმალური შესაძლებელი მოცულობა შეადგენს 600 000 ლარს (მათ შორის 300 000 ლარი სესხის პროცენტის დაფინანსება).

პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის საგრანტო კონკურსი გამოცხადდება სააგენტოს ვებგვერდზე 2022 წლის პირველ თებერვალს და გაგრძელდება პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ამოწურვამდე.

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“-მ სრიგპ-ის ფარგლებში პროგრამა წარმოადგინა ქვე-ლონისძიება 3.1.ა. ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობის და ქვე-ლონისძიება 3.1.ბ. ადგილობრივი პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის მხარდაჭერა და განვითარების ფარგლებში. წარმოდგენილი პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

1. ტექნიკური დახმარების კომპონენტი;

- პროდუქტის ლიცენზირება / სერტიფიცირება საერთაშორისო სტანდარტებით;
- ბრენდინგი/პროდუქციის შეფუთვა;
- საერთაშორისო გაყიდვების სტიმულირება - საერთაშორისო სავაჭრო ქსელში შესვლის ხელშეწყობა.

2. სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინანსების კომპონენტი (მოიცავს 312 მიზნობრივ ეკონომიკურ საქმიანობას);

3. მიკრო და მცირე გრანტების კომპონენტი ბიზნესის წამოწყებისათვის ან/და არსებულის გადაიარაღებისათვის (300-ზე მეტი ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებით).

ცხრილი 11: პროგრამის კომპონენტების მიხედვით ბიუჯეტის განაწილება.

| აქტივობის დასახელება | რეგიონი | 2021 | 2022 |
|---|-------------------------------|---------------|-----------------------|
| ტექნიკური დახმარების კომპონენტი | იმერეთი | 0 ლარი | 525,120 ლარი |
| | კახეთი | 0 ლარი | 427,560 ლარი |
| | გურია | 0 ლარი | 168,360 ლარი |
| | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 0 ლარი | 78,960 ლარი |
| | ჯამი | 0 ლარი | 1,200,000 ლარი |
| სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინანსების კომპონენტი | იმერეთი | 0 ლარი | 3,938,400 ლარი |
| | კახეთი | 0 ლარი | 3,206,700 ლარი |
| | გურია | 0 ლარი | 1,262,700 ლარი |
| | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 0 ლარი | 592,200 ლარი |
| | ჯამი | 0 ლარი | 9,000,000 ლარი |
| მიკრო და მცირე გრანტების კომპონენტი | იმერეთი | 0 ლარი | 2,625,600 ლარი |
| | კახეთი | 0 ლარი | 2,137,800 ლარი |
| | გურია | 0 ლარი | 841,800 ლარი |
| | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 0 ლარი | 394,800 ლარი |
| | ჯამი | 0 ლარი | 6,000,000 ლარი |

ჯამში პროგრამის განსახორციელებლად 2022 წლისთვის გათვალისწინებულია 16.2 მლნ ლარი. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის საგრანტო კონკურსები გამოცხადდება: ტექნიკური დახმარების კომპონენტისთვის - 2022 წლის მაისიდან; სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინანსების კომპონენტი - 2022 წლის დასაწყისიდან გამოცხადებულია; მიკრო და მცირე გრანტების კომპონენტი - 2022 წლის მარტიდან.

პროგრამის ფარგლებში ჯამში იგეგმება 250-მდე ბენეფიციარის დაფინანსება.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ სრიგპ-ის ფარგლებში პროგრამული განაცხადი წარმოადგინა ღონისძიება 3.2 ადგილობრივი კომპანიების ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით. სააგენტოს მიერ იგეგმება შემდეგი მიმართულებებით პროექტების დაფინანსება:

- მცირე გრანტების პროექტები - ინოვაციების დანერგვა, ტესტირება ან გაუმჯობესება შემდგომი კომერციალიზაციის (და სხვა) მიზნით;
- ინოვაციების საგრანტო პროექტები - ინოვაციური ან/და მაღალტექნოლოგიური ელემენტის შემცველი და კომერციალიზაციის მაღალი პოტენციალის მქონე ბიზნეს პროექტების დაფინანსება და სხვა;
- შესაძლებლობების განვითარება რეგიონული სტარტაპ ეკოსისტემისთვის - STEAM და ICT მიმართულების პროექტები;
- პრე-აქსელერაციის და სტარტაპების შექმნა/ხელშეწყობის პროექტები.

ცხრილი 12: ფინანსების რეგიონული განაწილება.

| რეგიონი | ინდიკატიური განაწილება (€) | ინდიკატიური განაწილება (%) |
|---------|----------------------------|----------------------------|
|---------|----------------------------|----------------------------|

| | | |
|-------------------------------|-----------|--------|
| იმერეთი | 1,369,688 | 43.76% |
| კახეთი | 1,115,219 | 35.63% |
| გურია | 439,139 | 14.03% |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 205,954 | 6.58% |
| ჯამი | 2,850,000 | 100% |

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ 2022 წლის 17 იანვარს გამოაცხადა კონკურსი ვებ-პორტალზე - www.grants.gov.ge. გრანტზე განაცხადის გაკეთება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური ან იურიდიული პირს, რომელიც რეგისტრირებულია ან/და საქმიანობს შემდეგ რეგიონებში: კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

პრიორიტეტი 3-ს ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური შეთანხმების პოლიტიკის მატრიცის ინდიკატორები და მათი სამიზნეები

პრიორიტეტი 3-ის ფარგლებში ფინანსური შეთანხმებით გათვალისწინებულია შემდეგი ინდიკატორები:

- 1. ღონისძიება 3.1 და 3.2:** სრიგპ-ის პრიორიტეტი 3. „მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა“-ის ფარგლებში 2021 ფისკალურ წელს გაფორმებული კონტრაქტების ფინანსური ღირებულება და 2022 ფისკალურ წელს გამოყოფილი თანხა შეადგენს არანაკლებ 6.5 მილიონ ევროს;
- 2. ღონისძიება 3.1:** 100 ბიზნესი/მიკრო/მცირე და საშუალო საწარმო რეგისტრირებულია/ოპერირებს 4 საპილოტე რეგიონში რომელიც მხარდაჭერილია:
 - საგრანტო სქემით არსებული ინდუსტრიული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;
 - საგრანტო სქემით მიკრო და მცირე ადგილობრივი საწარმოებისთვის მცირე აღჭურვილობის შესაძენად.
- 3. ღონისძიება 3.1:** 2022 წელს (2017-თან შედარებით) 4 საპილოტე რეგიონის დასაქმებულთა საშუალო წილი გაზრდილია მინიმუმ 25% 2022 წელს.

ინდიკატორი 4.1.1-თან დაკავშირებით, რომელიც ევროკავშირის შემფასებელი მისიის ექსპერტების მიერ უნდა შემოწმდეს 2022 წელს გამოსაყოფი ტრანშის ფარგლებში, აღსანიშნავია რომ გათვალისწინებულია 2020-2022 წლებში 6.5 მილიონი ევრო ღირებულების კონტრაქტების გაფორმება და ფინანსური რესურსების გამოყოფა. ამ ეტაპზე კონტრაქტები გაფორმებულია სამ სახელმწიფო სააგენტოსთან და მათი პროგრამების ფარგლებში პროექტების დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2379 განკარგულებით გამოყოფილია 39.63 მლნ ლარი (დაახლოებით 11.2 მილიონი ევრო). აღნიშნული ინვესტიცია წაახალისებს საპილოტე რეგიონებში და შედეგად ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას და ქვეყნის მდგრად და დაბალანსებულ განვითარებას.

პრიორიტეტი 4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება

საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით სრიგპ-ის პრიორიტეტი 4 „ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება“-ის ფარგლებში კონკურსი გამოცხადდა 2021 წლის 7 ივნისს ღონისძიება 4.2 „ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა“ და ქვე-ღონისძიება 4.3. ა. სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა გააჩნია ოთხივე საპილოტე რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს. კონკურსის ფარგლებში გაცემული თანხის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 2021 წ. – 15 634 330,10 ლარი ხოლო 2022 წ. – 42 771 617,03 ლარი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებით რეგიონების მიხედვით გადანაწილდა ცხრილი 13-ს მიხედვით.

ცხრილი 13: პრიორიტეტი 4-ს ფარგლებში 2021 და 2022 წელს გამოყოფილი თანხა.

| პრიორიტეტი | საპილოტე რეგიონი | თანხის ოდენობა 2021 წელი (ლარი) | თანხის ოდენობა 2022 წელი (ლარი) |
|--|-------------------------------|---------------------------------|---------------------------------|
| 4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება | იმერეთი | 7 097 255,98 ლ | 17 941 345,47 ლ |
| | კახეთი | 4 923 606,59 ლ | 15 463 170,60 ლ |
| | გურია | 1 821 144,04 ლ | 6 206 542,85 ლ |
| | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 1 792 323,48 ლ | 3 160 558,12 ლ |
| | ჯამი | 15 634 330,10 ლ | 42 771 617,03 ლ |

ჯამში ოთხი საპილოტე რეგიონის მიერ პრიორიტეტი ოთხის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა 48 საპროექტო იდეა, საიდანაც მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისა და გურიის რეგიონებმა არ წარმოადგინეს საპროექტო იდეები ქვე-ღონისძიება 4.3 ა-ს ფარგლებში. ადმინისტრაციული შეფასება ვერ გაიარა იმერეთის რეგიონის 3-მა საპროექტო იდეამ. ტექნიკური შეფასების ეტაპზე დაწუნებულ იქნა იმერეთის 6 და კახეთის 1 საპროექტო იდეა და ჯამში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოზე განსახილველად წარდგენილ იქნა 38 პროექტი. მათგან კახეთის 1-მა პროექტმა ვერ გაიარა ტექნიკური შეფასების პროცედურა და შესაბამისად, 37 პროექტი იქნა შერჩეული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ, 2021 წელს და 34 პროექტი იქნა წარდგენილი საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიაზე, საიდანაც ყველა იქნა მოწონებული კომისიის მიერ.

ცხრილი 14: წარმოდგენილი და შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა.

| კონკურსში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები | კახეთი | | იმერეთი | | გურია | | რაჭა | | ჯამი |
|--|--------|-------|---------|-------|-------|-----|------|-------|--------------|
| | 4.2 | 4.3 ა | 4.2 | 4.3 ა | 4.2 | 4.3 | 4.2 | 4.2.ა | 4.2 და 4.3 ა |
| წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების საერთო რაოდენობა | 7 | 1 | 18 | 5 | 2 | 1 | 3 | 1 | 38 |

| | | | | | | | | | |
|--|---|---|----|---|---|---|---|---|----|
| ადმინისტრაციული შესაბამისობის შეფასების დონეზე დაწუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხელშეკრულებით წარსადგენად დაბრუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ტექნიკური შეფასებისთვის ვალიდური საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 7 | 1 | 18 | 5 | 2 | 1 | 3 | 1 | 38 |
| ტექნიკური შეფასების დონეზე დაწუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებისთვის საბოლოო შერჩევის მიზნით გადაგზავნილი საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 6 | 1 | 18 | 5 | 2 | 1 | 3 | 1 | 37 |
| სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ მოწონებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 6 | 1 | 18 | 5 | 2 | 1 | 3 | 1 | 37 |
| სახელმწიფო კომისიის მიერ მოწონებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 5 | 0 | 18 | 5 | 2 | 1 | 2 | 1 | 34 |

პრიორიტეტი 4 „ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება“-თვის მათ შორის ღონისძიება 4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა” და ქვე-ღონისძიება 4.3 ა. „სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ ფარგლებში სრიგპ-ით გათვალისწინებულია 15.5 მილიონი ევროს (დაახლოებით 54.4 მილიონი ლარი) ღირებულების პროექტების დაფინანსება, შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ პროგრამის ფარგლებში პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა 5%-ით აღემატება სრიგპ-ის ბიუჯეტით ჯამში მთლიანად პრიორიტეტი 4-თვის გათვალისწინებულ თანხას.

ცხრილი 15: პროექტებისა და ფინანსებიც მოცულობა მე-4 პრიორიტეტის შესაბამისად

| პრიორიტეტი | რეგიონი | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა 2021 | კონკურსით გათვალისწინებული თანხა 2021 | შესრულების მაჩვენებელი 2021 |
|--|-------------------------------|---|---------------------------------------|-----------------------------|
| 4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება | იმერეთი | 23 | 3,063,200 | 208% |
| | კახეთი | 5 | 2,494,100 | 184% |
| | გურია | 3 | 982,100 | 185% |
| | რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 3 | 460,600 | 389% |
| | ჯამი | 34 | 7,000,000 | 209 % |

კონკურსის ფარგლებში 2021 წელს გათვალისწინებული 7 მილიონი ლარიდან ათვისებულ იქნა ჯამში 14 599 584 ლარი, რაც 2021 წელს გათვალისწინებულ დაგეგმილ თანხას 209% აღემატება. ათვისების ასეთი მაღალი პროცენტი გამოწვეულია იმით, რომ ამ პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტები, რომლებიც მეტნაკლებად

უზრუნველყოფენ საბაზისო ინფრასტრუქტურის განახლებას და შინაარსით შეესაბამება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტებისთვის უფრო მეტი გამოცდილება გააჩნიათ ასეთი ტიპის პროექტების იდეების მომზადება და განხორციელება.

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებაზე გადაწყვეტილება 34 პროექტზე იქნა მიღებული და შეადგინა 26 109 578 ლარი. აღნიშნული თანხა კონკურსის ფარგლებში 2021 წელს გათვალისწინებულ თანხას 3-ჯერ აღემატება. როგორც აღინიშნა 2021 წელს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N27 დადგენილებაში განხორციელებულმა ცვლილებებმა მუნიციპალიტეტებს მრავალწლიანი პროექტების განხორციელების საშუალება მისცა, ახალმა მიდგომამ შესაძლებლობა მოგვცა შესაბამისი რეგიონების პრიორიტეტებზე წლების მიხედვით გამოყოფილი თანხების კონსოლიდაცია, რომლის საფუძველზეც დაფინანსდა დიდი მოცულობის მნიშვნელოვანი პროექტები.

ცხრილი 16: ღონისძიება 4.2.-ის და ქვე-ღონისძიება 4.3. ა-ს მყისიერი შედეგების სამიზნეები.

| ქვე-ღონისძიება | მყისიერი შედეგების ინდიკატორი | სამიზნე მაჩვენებელი 2020-2022 | შედეგი 2021 | შესრულების % |
|---|--|-------------------------------|-------------|--------------|
| 4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა | მხარდაჭერილი სოფლები და დასახლებები | 12 | 41 | 341 |
| | ადგილობრივი გზები და თანმხლები ინფრასტრუქტურა (კმ) | n/a | 926.9 | n/a |
| | პარკირების ადგილი (რაოდენობა) | n/a | 9 | n/a |
| | საინფორმაციო დაფები (რაოდენობა) | n/a | 36 | n/a |
| | თეატრები (რაოდენობა) | n/a | 11 | n/a |
| | ტურისტული გზები კემპინგებამდე (კმ) | n/a | 502.5 | n/a |
| 4.3 ა – სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | მხარდაჭერილი დასახლებები | 12 | 12 | 100 |
| | მხარდაჭერილი სოციალური ინფრასტრუქტურული ობიექტები | 18 | 5 | 27 |
| | პროექტები საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, მოსახლეობისთვის მუნიციპალური მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით | 6 | 1 | 16 |
| | მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომელთაც ციფრული ადგილობრივი მონაცემთა ბაზა გააჩნიათ | 6 | 0 | 0 |

პრიორიტეტის ფარგლებში მყისიერი შედეგების სამიზნეების მიღწევის მაჩვენებელი განსხვავდება ინდიკატორების მიხედვით. მაგალითად ინდიკატორის „მხარდაჭერილი სოფლები და დასახლებები“ სამიზნე მიღწეულია 341%, ხოლო ინდიკატორის

„მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომელთაც ციფრული ადგილობრივი მონაცემთა ბაზა გააჩნიათ“ სამიზნეს შესრულება 0%. აღნიშნული გარემოება პროგრამის განხორციელების დეცენტრალიზებული მიდგომიდან გამომდინარეობს, მუნიციპალიტეტები წარმოადგენენ ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებულ პროექტებს, ხოლო სრიგპ-ის წარმოადგენს მხოლოდ ფართო ჩარჩოს რის მიხედვითაც მათ უნდა იხელმძღვანელონ.

პრიორიტეტი 5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება

პრიორიტეტი 5-ის ფარგლებში ჯამში სრიგპ-ის ფარგლებში გათვალისწინებულია 4.75 მილიონი ევროს მოცულობის ბიუჯეტი. ეს თანხა მთლიანად წარმოადგენს ევროკავშირის ტექნიკურ და ექსპერტულ დახმარებას, რომელიც პროგრამის ფარგლებში შემდეგ ღონისძიებებზე იყო გათვალისწინებული:

- ღონისძიება 5.1 ცენტრალურ დონეზე რეგიონული პოლიტიკისა და სრიგპ-ს განხორციელებაში ჩართული უწყებების ინსტიტუციების შესაძლებლობების განვითარება;
- ღონისძიება 5.2 რეგიონული და ადგილობრივი ადმინისტრაციების შესაძლებლობების განვითარება:
 - ქვე-ღონისძიება 5.2ა. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარება;
 - ქვე-ღონისძიება 5.2. ბ. შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის ანალიზისა და მონიტორინგის მიმართულებით;
 - ქვე-ღონისძიება 5.2. გ: რეგიონებში ინვესტიციების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- ღონისძიება 5.3 პროექტების ნუსხის მომზადების მხარდაჭერა.

ამ ეტაპისთვის ფინანსური შეთანხმების ფარგლებში გათვალისწინებული ტექნიკური პროექტი არ არის ჩამოყალიბებული, თუმცა 2021 წლის ოქტომბრამდე მე-პრიორიტეტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში სამინისტროს ეხმარებოდა ევროკავშირის პროექტის „ადგილობრივი თვითმმართველობების როლის გაზრდა მრავალდონიანი ტერიტორიულ მმართველობაში“ ტექნიკური დახმარების ექსპერტები. აღნიშნული პროექტი 2021 წლის ოქტომბერში დასრულდა.

სრიგპ-ის მონიტორინგის სისტემა მისი შესაბამისი პროექტის მონაცემთა ბაზებით შეიმუშავა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის „ადგილობრივი თვითმმართველობების როლის გაზრდილი მრავალდონიანი ტერიტორიული მმართველობაში საქართველოში“ ტექნიკური დახმარების ექსპერტების მხარდაჭერით. სისტემა შემუშავდა ოთხი საპილოტე რეგიონის მუნიციპალიტეტების და სამხარეო ადმინისტრაციების აქტიური ჩართულობით. სისტემა საშუალებას აძლევს მივიღოთ დეტალური ინფორმაცია როგორც ცალკეულ პროექტზე, ასევე აგრეგირებულ დონეზე და იძლევა მონაცემებს პროექტის შესახებ, როგორცაა გეოგრაფიული არეალი, პროექტების ტიპი, ბენეფიციარების რაოდენობა, ფინანსური ღირებულება და ა.შ., სრიგპ-ის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების გასაუმჯობესებლად. პროექტის

მონაცემები რეგულარულად განახლდება და სისტემაში იტვირთება სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ პროექტის შერჩევითანავე. ამის შემდეგ პროექტის მონაცემები რეგულარულად განახლდება პროექტის განხორციელების დროს.

სისტემა და მისი სახელმძღვანელო მოწონებულ იქნა საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2021 წლის 24 მაისს. აღნიშნული ანგარიში შემუშავდა ამ სისტემის საშუალებით მიღებული მონაცემების საფუძველზე.

ფინანსური შეთანხმების დელეგირებული თანამშრომლობის ფარგლებში გათვალისწინებული მხარდაჭერა

სრიგპ-ის ინტეგრირებული განვითარების მიდგომიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელებაში კონცენტრირებულია სხვადასხვა აქტორების ძალისხმევა, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების და განსაკუთრებით ევროკავშირის. ამ მიმართულებით სრიგპ ადგენს ჩარჩოს შემდეგი (ქვე)ლონისძიებების საშუალებით როგორცაა:

- ქვე-ლონისძიება 1.2.ბ. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი უნარების განვითარება და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობა;
- ღონისძიება 2.2. ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება;
- ღონისძიება 4.1 ადგილობრივი ტრადიციული ხელნაკეთებისა და პროდუქციის შენარჩუნებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა;
- ქვე-ლონისძიება 4.3. ბ. საინფორმაციო ტექნოლოგიების, ელექტრონული და სხვა სერვისების დანერგვის მხარდაჭერა.

ფინანსური შეთანხმების ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პროექტების განსახორციელებლად ჯამში გათვალისწინებულია 8.5 მილიონი ევრო. ამისთვის ევროკავშირმა 2021 წლის დასაწყისში მოიწვია საერთაშორისო ორგანიზაციები აღნიშნული ფინანსური რესურსების ფარგლებში პროგრამების წარმოსადგენად, შედეგად 2021 წელს შერჩეულ იქნა 2 საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ (6.5 მილიონი ევრო) და UNDP (2 მილიონი ევრო). აღნიშნული ორგანიზაციების მიერ პროექტების დაფინანსება უახლოეს მომავალში დაიწყება.

პროგრამის 2021 წლის განხორციელებისას გამოკვეთილი ხარვეზები და რეკომენდაციები

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მისი პროგრესი ჯამში პოზიტიურად უნდა შეფასდეს, თუმცა არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას პროგრამის განხორციელების მეტი ეფექტიანობის მიღწევისთვის:

1. ანგარიშში მოყვანილი მაჩვენებლების მიხედვით პროგრამის ცალკეული (ქვე)ლონისძიებების მყისიერი შედეგების ინდიკატორები გვიჩვენებს, რომ მისი მყისიერი ინდიკატორების სამიზნეების მიღწევის პროგრესი არათანაბრად ხორციელდება, მაშინ როდესაც, ცალკეული ინდიკატორების სამიზნეები

გადაჭარბებითაა შესრულებული, ხოლო ზოგიერთი ინდიკატორის მიღწევის პროგრესი 0% ტოლია მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიებაზე გათვალისწინებული თანხების ათვისება გეგმიურად მიმდინარეობს. ამის მიზეზი შესაძლოა ნაწილობრივ პროგრამის „დეცენტრალიზებული - ქვემოდან-ზემოთ“ განხორციელების მიდგომა იყოს. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია ახალი პროგრამების შემუშავებისას ცალკეული პრიორიტეტის თუ ღონისძიებების მყისიერი ან/და საბოლოო შედეგების ინდიკატორების ჩამონათვალის მინიმალური პროპორციის განსაზღვრა, რომელიც სავალდებულო იქნება შესასრულებლად. ამასთან, აღნიშნული შესაბამისმა სამხარეო ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების შეფასებისას. ასევე, მიმდინარე პროგრამის ფარგლებში უნდა გაძლიერდეს შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესრულების დაბალი მაჩვენებლის მქონე ინდიკატორების მიღწევისთვის.

2. მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილ რიგ საპროექტო იდეების აპლიკაციებში, შესაძლებელია გაძლიერდეს კონკრეტული გამოწვევისა და მოგვარების გზების არგუმენტირება და წარმოდგენილი პროექტის განხორციელებით ამ გამოწვევის აღმოფხვრისათვის საპასუხო რეაგირება. შესაბამისად, უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტების მიერ საპროექტო იდეების შემუშავების შესაძლებლობების გაძლიერება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით (სტატისტიკური მონაცემებით და წყაროებით საჭიროებებისა და მიზნების გამყარება ა.შ) ასეთის არსებობის შემთხვევაში. გარდა ამისა პრიორიტეტი 4-ის ფარგლებში სხვა პრიორიტეტებთან შედარებით განსაკუთრებულად მაღალი ათვისების მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტები უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებენ მათთვის უფრო ცნობილი პროექტების სახეობების შემთხვევაში, აქედან გამომდინარე ისინი საჭიროებენ შესაძლებლობების გაზრდას მრავალწახნაგოვანი მიმართულებით შესაბამისი საპროექტო იდეების შემუშავების კუთხითაც;
3. სამხარეო ადმინისტრაციების მიერ პროექტების შეფასების ნაწილში მიზანშეწონილია შესაძლებლობების კიდევ უფრო გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა არაერთი საინფორმაციო შეხვედრა ამ მიმართულებით სამხარეო ადმინისტრაციები კვლავ საჭიროებენ დამატებით ძალისხმევას შესაძლებლობის განვითარების კუთხით.